სკოლის დასახელება	ბაღდათის მუნიციპალიტეტი,დიმის N 1 საჯარო სკოლა.
მასწავლებელი	ნინო ნატრიაშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან	ენიდ ბლაიტონი „საიდუმლო შვიდეული“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი, მე-3 კლასი.
მისაღწევი შედეგები	I, 2; I,3; I,4; I,5; I,6; I,7; I,8; I,9; I,12; I,13; I,14; 1,15.
წინასწარი ცოდნა	იცნობენ დონალდ ბისეტის წიგნს „ყველაფერი ყირამალა“-თარგმანი რ.ინანიშვილის. ნასწავლი აქვთ ნაწყვეტი „როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას“ და შეასრულეს კომპლექსური დავალება.
აქტივობის თანმიმდევრობა და დრო	**აქტივობა 1:** 23 თებერვალი **აქტივობა 2:** 26 თებერვალი **აქტივობა 3:** 1 მარტი.

აქტივობა 1: ა)წიგნების („საიდუმლო შვიდეული“- ენიდ ბლაიტონი, ასტრიდ ლინდგრენი - „ძმები ლომგულები“ და დერეკ ლენდის „დეტექტივი სკალდაგერი“- მეორე თავი) შეტანა კლუბის შეკრებაზე და არჩევა. ბ)არჩეული წიგნის გაცნობა.	**აქტივობის აღწერა**	**აქტივობის მიზანი**
	აქტივობის მიზანი: მოსწავლეები აიმაღლებენ წიგნიერების დონეს, გაუჩნდებათუცხო ენის უკეთ შესწავლის მოტივაცია, გაუუმჯობესდებათ გააზრებული კითხვის უნარები. აქტივობის აღწერა: ა) მასწავლებელს კლუბის შეკრებაზე შეაქვს წიგნების თითო ეგზემპლარი და მოსწავლეებს მიმართავს წინადადებით, თავად შეარჩიონ სასურველი ნაწარმოები, საიდანაც წაიკითხავენ მითითებულ ნაწყვეტს და შეასრულებენ მასწავლებლის დავალებებს. ბ)ენიდ ბლაიტონი „საიდუმლო შვიდეული“- გაცნობა (სასურველია, მასწავლებელმა იცოდეს ენიდ ბლაიტონის მოკლე ბიოგრაფია და ნაწარმოებების ჩამონათვალი მაინც).	

	აქტივობით დაინტერესებული მოსწავლეები დაყოფილია თანაბარი რაოდენობის ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს აქვს, მინიმუმ, ერთი წიგნი მაინც. მასწავლებლის თხოვნით ათვალიერებენ და აკვირდებიან წიგნს, ეცნობიან ნაწარმოების ავტორს, სათაურს, სარედაქციო კოლეგიას. ყურადღება მახვილდება, რომ ნაწარმოები ინგლისურენოვანია და ქართულად თარგმნა მაია წითაძემ. მოსწავლეები იგებენ, ვინ შეიძლება იყოს მთარგმნელი და როგორი წესით ირჩევენ გამომცემლობები მას. ენიდ ბლაიტონი ინგლისელი საბავშვო მწერალია, მხატვრული ნაწარმოებები ინტელექტუალური შრომის ნაყოფია, აცნობიერებენ ხარისხიანი თარგმანის როლს ნაწარმოების სრულყოფილად აღქმისათვის და სხვ. მასწავლებელი ამოწმებს,მოსწავლეთა აქტიურ მეტყველებაში როგორ მკვიდრდება სიტყვები: სარედაქციო კოლეგია, გამომცემლობა, მთარგმნელი, ნაწარმოები, ილუსტრატორი და სხვ. სასიამოვნო აღმოჩენა იქნება მოსწავლეებისათვის, რომ ენიდ ბლაიტონის „საიდუმლო შვიდეული“ ქართულ ენაზე თარგმნა და მათთვის სკოლაში მოიტანა ჩვენი სკოლის ინგლისური ენისა და ლი-ტერატურის მასწავლებელმა მაია წითაძემ, რომელიც რამდენიმე წლის წინ ამავე სკოლის მოსწავლე იყო.

აქტივობა 2 კომპლექსური დავალების ბარათი N 1	**აქტივობის აღწერა**	**აქტივობის მიზანი**
	სამიზნე ცნება: ტექსტის გაგება/ინტერპრეტირება,ფუნქციური სამეტყველო ქმედება. ქვეცნებები/საკითხები: პერსონაჟი, ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო- ფასეულობები, დამოკიდებულებები, პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან: აღწერა, დასაბუთება. საკვანძო შეკითხვა: როგორ შევძლო პერსონაჟის ქცევაზე დაკვირვება და დახასიათება? როგორ შევძლო ჩემი მოსაზრების დასაბუთება და ყურადღებით, ნაწილ-ნაწილ წაიკითხეთ ენიდ ბლაიტონის წიგნიდან „საიდუმლო შვიდეული“ ნაწყვეტი „რა მოახსენეს პიტერს“ ან გაეცანით შესაბამის ბმულს და უპასუხეთ შეკითხვებს (არგუმენტების გასამყარებლად დაიმოწმეთ ტექსტიდან შესაბამისი მონაკვეთი): 1. ვინ არიან საიდუმლო შეკრების წევრები?(ჯანე ტი, პიტერი, ბარბარა, პემი, კოლინი, ჯეკი, ჯორჯი- ელვა) 2. თქვენი აზრით, რას საქმიანობენ ბავშვები და რატომ? 3. დააკვირდით, აღწერეთ ბავშვების პიროვნული	

	თვისებები (შეგიძლიათ, წარმოადგინოთ ცხრილის ან სქემის, რუკის სახით). გაითვალისწინეთ: ტექსტში მოცემული პირდა პირი და არაპირდაპირი მინიშნებები გამოიყენე პერსონაჟის ემოციების ამოსაცნობად და დასახასიათებლად. დახასიათებისას წარმოაჩინე: რატომ ფიქრობ ასე, რომელ მინიშნებებს ეყრდნობი(დაასაბუთე ტექსტიდან). (ბავშვები, სავარაუდოდ, ასე იმუშავებენ: ჯანეტი - აქვს პასუხისმგებლობა, შესანიშნავად ასრულებს საქმეს, გამოირჩევა შეფასებისა და თვით შეფასების უნარებით („ახლა დავრწმუნდი,რომ კარგად აღმიწერია“), მოსწონს, როცა აქებენ: „ჯანეტი შექებამ გააწითლა.ძალიან მოსწონდა, როცა პიტერი აქებდა“ პიტერი: ფრთხილი და წინდახედულია, შეფასებისა და თვითშეფასების, კრიტიკული აზროვნების უნარებით, ლიდერის თვისებებით („მხოლოდ ჯანეტის დავალებაა სრულყოფილი, ნახევარ წუთში შეუძლია აღწერა.“ „ჯორჯი ფრთხილად უნდა ყოფილიყო“, „ძალიან დაბალი შეფასება გეკუთვნით ორივეს“, „ეს ძალი ან კარგი, მოკლე დახასიათებაა“ და სხვ.). გამოიკვეთება, რომ პემი შურიანია, ზედმეტად ცნობისმოყვარე და საქმის დეტალებით დაინტერესებული. ჯორჯი წინდაუხედავი, გაუფრ-თხილებელი, კოლინი უპასუხისმგებლო, ბარბარა ბოღმითა და შურით სავსე გოგონა და სხვ.) ტექსტიდან მიღებული ინფორმაციით შეავსე-ბენ ცხრილებს, წარმოადგენენ რუქების სახით და სხვ. მოსწავლეები პერსონაჟის რუქის შევსებისას მუშაობენ ტექსტებზე. სამუშაოს დასრულების შემდეგ კი აუმჯობესებენ დახასიათებისას გამოყენებულ ინფორმაციას.

აქტივობა 3 კომპლექსური დავალების ბარათი N 2	**აქტივობის აღწერა**	**აქტივობის მიზანი**
	სამიზნე ცნება: ტექსტის გაგება/ინტერპრეტირება, ფუნქციური სამეტყველო ქმედება. ქვეცნებები/საკითხები: პერსონაჟი, ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო-ფასეულობები, დამოკიდებულებები, პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა	

პერსონაჟებთან: აღწერა, დასაბუთება. საკვანძო შეკითხვა: როგორ შევძლო პერსონაჟის ქცევაზე დაკვირვება და დახასიათება? როგორ შევძლო ჩემი მოსაზრების დასაბუთება და არგუმენტებით გამყარება? კომპლექსური დავალების პირობა თქვენ უკვე გაეცანით ინგლისელი საბავშვო მწერლის, ენიდ ბლაიტონის, ნაწარმოებიდან „საიდუმლო შვიდეული“ ნაწყვეტს „რა მოახსენეს პიტერს“. გთხოვთ, უფრო ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, ჩაუღრმავდით დეტალებს. ა) ამოიწერეთ ტექსტიდან: ბავშვების დაკვირვების ობიექტების: ქალბატონ ლოუსონის, ახალგაზრდა ექთნის, მაღალი, კოჭლი კაცისა და ავტომანქანიანი პიროვნების დახასიათება. ბ) დახატეთ ან შესაბამისი პროგრამის (Minecraft) საშუალებით შექმენით ქალბატონ ლოუსონის, ახალგაზრდა ექთნის, მაღალი, კოჭლი კაცისა და ავტომანქანით მოსული მგზავრის (პუდელი რომ ჰყავდა) ფოტორობოტები. 1. ფოტორობოტების შექმნისას დაეყრდენით ტექსტიდან ამოწერილ სიტყვიერ პორტრეტებს. 2. პრეზენტაციისას წარმოაჩინე, რა ნაბიჯები გადადგი დავალების შესრულებისას. 3. რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას.	